პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 სამშაბათი 18 მარტი № 64 (16190) ფასი 2 კაპ. 1975

ხუთწლედის დამლევამდე

288 დღე დარჩა

200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია გეგმის გადამეტებით!

დამამთავრებელი წლის კალენდარი

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი კიევში

კიევი, 15 მარტი. (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვეით უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობაზე მივემგზავრება, უკრაინის დედაქალაქში ჩამოხდა.

გაგზავნილი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდნენ ვ. ვ. შჩერბიცკი, ი. ს. გრუშეცკი, ა. პ. ლიაშკო და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა რესპუბლიკის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. საუბრის დროს მან გამოიკითხა, თუ როგორ მუშაობენ პარტიული ორგანიზაციები დამამთავრებელი 1975 წლისა და მთლიანად ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, როგორ ემზადებიან და ასრულებენ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებს.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა უკრაინის კომუნისტებს, ყველა მშრომელს უსურვა დიდი წარმატებანი აღმშენებლობითს შრომაში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ბუდაპეშტი, 16 მარტი. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. სურათზე დედაქალაქის დასავლეთ სადგურზე შეხვედრისას.

სპუტნიკის ტელეფოტო (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

გულითადი შეხვედრა უნგრეთის მიწაწყალზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ბუდაპეშტში ჩავიდა

ბუდაპეშტი, 16 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). სადღესასწაულოდ არის მორთული უნგრეთის დედაქალაქი. მის ქუჩებსა და მოედნებს ამშვენებს ლამაზი პანოები, ტრანსპარანტები. პლაკატებზე მოჩანს ციფრი „XI“. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა ქვეყნის ცხოვრებაში დიდ ისტორიულ მოვლენას ეგებება: 17 მარტს იხსნება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობა.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვეით ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. პავლოვი.

18 საათია ადგილობრივი დროით. სპეციალური მატარებელი უახლოვდება დედაქალაქის დასავლეთის ვაგზალს, რომელიც მორთულია სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, ლოზუნგებით რუსულ და უნგრულ ენებზე „გულითადად მივესალმებით ჩვენს საბჭოთა სტუმრებს, რომლებიც უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობაზე ჩამოდიან!“. ვაგონთან ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, სკკპ დელეგაციის წევრებს ძმურად მიესალმნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანოშ კადარი. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ენე ფოკი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად ჩამოვიდნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი ა. მ. ალექსანდროვი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევსა და დელეგაციის წევრებს შეხვდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ბ. ბისკუს.

მეგობრული საუბარი

ბუდაპეშტი, 16 მარტი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის რეზიდენციაში ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი და დელეგაციის წევრები გულთბილად, მეგობრულად ესაუბრნენ ამხანაგ ი. კადარს და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ბ. ბისკუს.

სოციალიზმის გზით ახალი გამარჯვებებისაკენ

გაიხსნა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობა

ბუდაპეშტი, 17 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს მშვენიერი ალიზონიანი ალბანეთის ცენტრალური ბიბლიოთეკა. ბევრ ენაზე, ბევრ ფერად ბეჭდავენ ალბანურ ენაზე ალბანეთის ბიბლიოთეკა. ალბანეთის ბიბლიოთეკა. ალბანეთის ბიბლიოთეკა.

სოციალიზმის გზით ახალი გამარჯვებებისაკენ

ამხანაგ იანოშ კადარის მოხსენება

ბუდაპეშტი, 17 მარტი. (საკუთ.). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობაზე, რომელიც დღეს გაიხსნა, ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. იანოშ კადარმა.

ცენტრალურ კომიტეტს შეუძლია მოახსენოს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობას, რომ საანგარიშო პერიოდში პარტია, ასრულებდა რა X ყრილობის გადწყვეტილებებს, მთელ თავის საქმიანობაში ახორციელებდა ყრილობის მიერ დასახულ პოლიტიკურ კურსს, — თქვა ი. კადარმა. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგად ჩვენს ქვეყანაში აღმავლობით და უფრო მაღალ დონეზე გრძელდებოდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა.

ჩვენი მიღწევების მთავარი წყარო ის არის, რომ ჩვენი პარტია შემოქმედებითად, ჩვენი ქვეყნის პირობების შესაბამისად იყენებს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დებულებებს, რომლებსაც საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, სოციალისტური მშენებლობის საერთო კანონზომიერებებს, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საბრძოლო გამოცდილებას. ჩვენი პოლიტიკის განხორციელება უზრუნველყო ჩვენი პარტიის შეკავშირებამ, მისმა იდეურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ და მოქმედების ერთიანობამ. ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულად ვლინდება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის მთავარი როლი.

ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ სოციალიზმის მშენებელ უნგრელ ხალხს ჰყავს დიდი მეგობრები და მოკავშირეები, რომლებთანაც ერთად ითვალისწინებს ერთ ფრონტზე, რომლებთანაც ერთად შრომობს. მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის შესანარჩუნებლად მიღწეულია სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის ნაყოფსაც შეიცავს. როცა ჩვენს მიღწევებზე ლაპარაკობს, პარტია გულწრფელ მადლობას უცხადებს დიდ საბჭოთა ხალხს, რომელიც კომუნიზმს აშენებს, მომძე სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, რომლებიც ვეხმარებოდნენ მუშაობაში. ჩვენ ვულწრფელ მადლობას ვუცხადებთ სოლიდარობისათვის, ჩვენს ბრძოლაში დახმარებისათვის მომძე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, ჩვენთან ერთად მებრძოლ პროგრესულ ძალებს, სოციალისტური უნგრეთის ყველა მეგობარს.

ყრილობამ უნდა განიზილოს მუშაობის გამოცდილება და პასუხი გასცეს განვითარების ახალ საკითხებზე, განსაზღვროს ამოცანები, დასახოს გზა, რომლითაც ანგაგრძობთ ჩვენს საქმიანობას, ჩვენ გაშენებთ განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებას, შეძლებთ საუკეთესოდ გემსახუროთ ჩვენს ხალხს, ჩვენს სამშობლოს.

მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ყრილობისათვის წარმოდგენილი საპროგრამო განცხადება, ითვალისწინებს რა უნგრეთში სოციალისტური მშენებლობისა და საერთაშორისო განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებებს, შეიცავს ნათელ პრინციპულ პოზიციას, რომელიც საჭირო სახელმწიფოს შესახებ საკითხში: სოციალისტური სახელმწიფო, მისი განმტკიცება, მისი საქმიანობის სრულყოფა საჭირო იქნება მანამდე, სანამ იმპერიალისტური სახელმწიფოები ემუქრებიან მშვიდობას, სანამ შფოთის გამომწვევ ცარშე და შინაგანი რეაქციის ხრიკებს შეუძლიათ ხელი შეუშალოს სოციალისტურ მშენებლობას.

შეეხო რა სოციალისტური დემოკრატიის განმტკიცებას, ი. კადარმა აღნიშნა, რომ ამჟამად პირველ პლანზეა შიდასაქართველო დემოკრატის, თვითეულის სამუშაო ადგილის მიხედვით დემოკრატიის განვითარების ამოცანა.

შემდეგ მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ახლა გაბატონებულია სოციალისტური საკუთრება, სოციალისტური წარმებითი ურთიერთობა. სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებში, ქარხნებსა და დაწესებულებებში შრომობს ყველა დასაქმებულთა 95 პროცენტი; აქ აწარმოებენ ეროვნული შემოსავლის 98 პროცენტზე მეტს.

ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა ძალაგაც განვამტკიცოთ და განავითაროთ როგორც სახელმწიფო, ისე აგრეთვე კოოპერაციული საკუთრება.

დაახასიათა რა საზოგადოებრივი კლასების ურთიერთობა უნგრეთში, მომხსენებელმა განაცხადა, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობის მთავარი ძალის — მუშათა კლასის განვითარება გრძელდებოდა საანგარიშო პერიოდშიც. მუშათა კლასი უნგრეთის საზოგადოების უდიდესი კლასია.

მუშათა კლასმა და გლეხობამ ერთად ჩაუყარეს საფუძველი სოციალისტურ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, ერთად დაიცვეს სახალხო ხელისუფლება და ერთად მიდიან მომავლის გზით, პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ამ კავშირის გაფართოებას მუშათა კლასის, გლეხობის, მთელი ჩვენი ხალხის, ერის საკეთილდღეოდ.

სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ სოციალისტური საზოგადოების ინტელიგენციის გადამწყვეტი უმრავლესობა თავისი შრომით და საზოგადოებრივი საქმიანობით ემსახურება სოციალიზმის აშენების საქმეს, ხალხს.

როცა ჩვენს საზოგადოებრივ პირობებსა და შინაპოლიტიკურ მდგომარეობას ვიფასებთ, თქვა ი. კადარმა, ვხედავთ, რომ განვლილ ოთხ წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე განმტკიცდა უნგრელი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ერის სოციალისტური შეკავშირება.

ხელმძღვანელობდა რა ლენინური მოძღვრებით, ჩვენი პარტია შუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამეურნეო მშენებლობას, ნათქვამია შემდეგ მოხსენებაში. ცენტრალურ კომიტეტს შეუძლია მოახსენოს ყრილობას, რომ, თუმცა ხუთწლიანი გეგმის პერიოდი ჯერ არ დამთავრებულა, ყველა პირობა მოგვეპოვება, რომ განვახორციელოთ X ყრილობის მიერ დამტკიცებული ეკონომიური პოლიტიკის მიზნები. შევასრულოთ მეოთხე ხუთწლიანი გეგმის დასახულობანი. ეროვნული შემოსავალი 1974 წელს 1970 წელთან შედარებით გაიზარდა 29 პროცენტით, სამრეწველო წარმოების მოცულობა — 30 პროცენტით. წარმოების ზრდა თითქმის მთლიანად მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გადიდებით. შემდეგ საანგარიშო მოხსენებაში დასახლებულია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საგარეო ვაჭრობის შემდგომი განვითარების კონკრეტული გზები და აღნიშნულია, რომ შვიდ წელზე მეტი ხნის გამოცდილება გვიჩვენებს, — რომ სამეურნეო მართვის სისტემის სრულყოფა სწორი და საჭირო იყო. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა, ნათქვამია მოხსენებაში, აფართოებს ეკონომიურ კონტაქტებს ყველა სახელმწიფოსთან, რომელიც მზად არიან ამისათვის. გასაგებია, რომ ეკონომიურ დარგში ყველაზე მჭიდრო კავშირურთიერთობა ჩვენ გვაქვს უნიჰარეს ყოვლისა მომძე სოციალისტურ ქვეყნებთან, ჩვენს მოკავშირეებთან, თქვა ი. კადარმა, განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ჩვენი პარტნიორი ეკონომიურ თანამშრომლობაზე საბჭოთა კავშირია, რომლის წილად მოდის უნგრეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მესამედი. სულ უფრო იზრდება საქონლბრუნვა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის, წელს იგი 60 პროცენტით მეტი იქნება, ვიდრე 1970 წელს იყო. ჩვენი მრეწველობისათვის საჭირო უმნიშვნელოვანესი ნედლეულისა და სათბობის საგრძნობ ნაწილს საბჭოთა კავშირიდან ვიღებთ. ამავე დროს საბჭოთა კავშირი უნგრეთის სახალხო მეურნეობის პროდუქციის ყველაზე დიდი იმპორტიორია.

სასიხარულოა აღინიშნოს, თქვა ი. კადარმა, რომ უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობის ფარგლებში, უშუალო საქონელბრუნვის გარდა, იზრდება საწარმო კოოპერაცია, რომელსაც გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, და რომლის შესანიშნავი მაგალითებია შეთანხმება ალუმინის შესახებ, თანამშრომლობა სინთეზური მასალების წარმოებაში და სხვა შეთანხმებები სამრეწველო კოოპერაციის შესახებ. უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიერსა თანამშრომლობამ მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ სიძნელეთა დაძლევაშიც, რომელიც ჩვენში შეიქმნა მსოფლიო ფასების სწრაფი ზრდის შედეგად, აგრეთვე ჩვენი პრობლემების გადაწყვეტაში ნედლეულითა და ენერგიით მომარაგების დარგში. ამიტომ მინდა აქაც ჩვენი გულწრფელი მადლობა გადავუხადო პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის თავრობას ჩვენი სიძნელეების გაგებისა და გაწეული დახმარებისათვის.

მსოფლიოს სოციალისტური სისტემის შექმნამ გამოიწვია ახალი ტიპის სახელმწიფოთაშორისი კავშირურთიერთობის ჩამოყალიბება ეკონომიური თანამშრომლობის დარგშიც, რომელიც ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში ხორციელდება. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას ფართო და მუდმივად მზარდი ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა აქვს სოციალისტურ ქვეყნებთან, უწინარეს ყოვლისა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან. ჩვენი საგარეო საგაჭრო ბრუნვის თითქმის ორი მესამედი მოდის სოციალისტურ ქვეყნებზე.

ეკონომიური თანამშრომლობა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში აძლიერებს სოციალიზმის მშენებლობისათვის მუშაობის გაქანებას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ყველა წევრ ქვეყანაში და ჩვენთვის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისათვის, შეუცვლელ დახმარებას ნიშნავს. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობა იყო, არის და კვლავაც იქნება მტკიცე საერთაშორისო ბაზა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობითი მუშაობისათვის.

ვადგავართ რა ჩვენს პოლიტიკურ კურსს, ვცდილობთ კიდევ უფრო გავაფართოოთ ჩვენი ეკონომიური ურთიერთობა განვითარებად ქვეყნებთან და მხარს ვუჭერთ სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთხელსაყრელ, დისკრიმინაციისაგან თავისუფალ ვაჭრობას.

შემდეგ მოხსენებაში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ სრულდება X ყრილობის გადაწყვეტილებანი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების დარგში და რა ამოცანებია დასახული ამ დარგში 1976-1980 წლებისათვის. აღნიშნულია, რომ მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს ძირითადი კლასების და ფენების, უწინარეს ყოვლისა მუშებისა და გლეხების რეალური შემოსავალი.

ჩვენი პარტიის პოლიტიკა, განაგრძო ი. კადარმა, გამოიხატება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის 15-20 წლისათვის გათვალისწინებული საპროგრამო განცხადების შთამაგონებელი მიზნებითაც. მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე მოხმარება ახლანდელ დონესთან შედარებით უნდა გაიზარდოს 2-2,5-ჯერ. ვაპირებთ გადავიდეთ ხუთდღიან, 40 საათიან სამუშაო კვირაზე.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების მსვლელობაში შეიქმენით ტექნიკური და ეკონომიური ბაზა, რათა დავიწყოთ ჩვენი საბოლოო მიზნის განხორციელება — კომუნიზმის აშენება.

ჩვენი პარტია დიდ ყურადღებას უთმობს იდეოლოგიის, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის საკითხებს, რადგან მათს სწორ გადაწყვეტაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ჩვენი საზოგადოების ხასიათი, ჩვენი ხალხის შემდგომი პროგრესი, საანგარიშო პერიოდში კვლავ მაღლდებოდა პარტიული პროპაგანდის ეფექტიანობა, მისი როლი სოციალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

ცვლილებები, რომლებიც საერთაშორისო ცხოვრებაში ხდება, განაგრძო ი. კადარმა, მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული იდეოლოგიური ბრძოლის წინა პლანზე წამოწევა აგრეთვე განაპირობებენ უფრო მიზნაშმამართული, უფრო თანამიმდევრული იდეოლოგიური მუშაობის საჭიროებას, თქვა ი. კადარმა.

სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში აქტიურობას იდეოლოგიისა და კულტურის დარგშიც ვაძლიერებთ. ჩვენ მუდამ უნდა გვქონდეს მხედველობაში, რომ იდეოლოგიური ბრძოლა ფრონტზე არ არსებობს მშვიდობიანი თანაარსებობა: ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ პარტნორები სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის დარგში, მაგრამ არა იდეოლოგიის დარგში, რადგან კაპიტალიზმის იდეოლოგია და სოციალისტური იდეოლოგია ერთმანეთისადმი დაპირისპირებული, შეურიგებელი იდეოლოგიებია.

მომძე პარტიების თანამშრომლობამ იდეოლოგიურ ფრონტზე წარსული წლებში უკვე მოგვიტანა კარგი შედეგი, ხელი შეუწყო სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებას, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიური გავლენის გაძლიერებას დედამიწის ყველა ნაწილში.

ჩვენი მთავარი მიზანია კვლავაც განვამტკიცოთ ჩვენს საზოგადოებაში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, სოციალისტური მსოფლმხედველობის გავლენა, მასების სოციალისტური შეგნება, სოციალისტური მორალი.

განვლილი ათწლეულებისა და უკანასკნელი ოთხი წლის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ პარტიის ხელმძღვანელი როლის თანამიმდევრული განხორციელება ჩვენი სოციალისტური განვითარების აუცილებელი პირობაა. პარტიამ შეძლო შეესრულებინა თავისი ვალდებულებანი, რადგან მისი იდეური, პოლიტიკური და ორგანიზაციული ერთიანობა მუდამ ურღვევი იყო. ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ყველა წევრის, პარტიისა და მუშათა კლასის, მთელი ჩვენი ხალხის ერთიანობა, მათი შეკავშირება კიდევ უფრო განმტკიცდა საანგარიშო პერიოდში. ეს ჩვენი წარმატებების ყველაზე მთავარი წყაროა, ხაზგასმულია მოხსენებაში.

X ყრილობის შემდეგ განვლილ ოთხ წელიწადში ჯეროვნად მიმდინარეობდა მუშობა პარტიული მშენებლობის დარგში, ნათქვამია შემდეგ მოხსენებაში. X ყრილობის დროისათვის ჩვენს პარტიაში ირიცხებოდა 662 ათასი წევრი, ხოლო 1974 წლის 31 დეკემბრისათვის მათი რიცხვი 754 ათასს შეადგენდა. ეს მონაცემები გამოხატავენ პარტიის როგორც ავანგარდისა და როგორც მასობრივი პარტიის ხასიათს, ასახავენ საზოგადოების განვითარების დონეს.

მუშაობაში პარტიული მშენებლობისათვის ჩვენ ჯეროვან ყურადღებას ვუთმობდით ახალგაზრდობასაც, ჩვენს ცვლას. ჩვენს პარტიაში შეიქმნა და მტკიცდება სხვადასხვა თაობის რეკონსტიტუირი ერთიანობა.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის საქმიანობაში შემდგომი განვითარება ჰოვა დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინურმა პრინციპებმა, როგორც პარტიის ორგანიზაციული წყობისა და პარტიული ცხოვრების ძალა. სოციალისტური ქვეყნები, მათ შორის ჩვენი სამშობლოც, მზად არიან მოქნილად, მაგრამ ყოველგვარი პრინციპული დათმობის გარეშე მიაღწიონ შეთანხმებებს ყველა იმ საკითხზე, რომლებიც ეხება ევროპის უშიშროების სახელმწიფოთა თანამშრომლობის ძირითად პრინციპებს. ჩვენ იმისათვის ვმუშაობთ, რომ რაც შეიძლება მალე დაიწყოს ჰელსინკში უმაღლეს დონეზე ევროპის უშიშროების თათბირის მესამე ეტაპი და ჩვენს კონტინენტზე დაიწყოს ახალი, უფრო ბედნიერი ხანა. შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა ყოველთვის ებრძოდა კეთილობის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული ხელშეუხებლობისათვის, ესწრაფოდა ხელი შეეწყო ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიის ყველა შედეგის ლიკვიდაციისათვის. რომლებიც, საფრთხეს უქმნიდნენ ამ რაიონს, უფრო მეტიც — მთელი მსოფლიოს მშვიდობას. დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება შეერთებულ შტატებს ისრაელის მხარდაჭერის, მისი პოლიტიკისათვის. საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები არაბული ქვეყნების პროგრესული ძალებთან ერთად დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ ამ რაიონშიც კონფლიქტის რეალური და მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. ჩვენ კვლავაც მზრს დავუჭერთ არაბი ხალხების, მათ შორის პალესტინის არაბი ხალხის სამართლიან ბრძოლას.

უნგრელი ხალხი შეძლებისდაგვარად ეხმარება გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელმაც სოციალისტური ქვეყნებისა და მსოფლიოს პროგრესული ძალების ხელშეწყობით ორი წლის წინათ აიძულა ვაშინგტონი და საგონი ხელი მოეწერათ პარიზის შეთანხმებისათვის.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა ყოველთვის აშკარად უჭერდა მხარს ინდოჩინეთის — ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხთა სამართლიან საქმეს.

ი. კადარმა განაცხადა, რომ ჩვენი ეპოქის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალაა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია, რომელიც საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ რაზმს წარმოადგენს, ძალ-ღონეს არ იშურებს ამ მოძრაობის, მისი მარქსისტულ-ლენინური ერთიანობის განმტკიცებისათვის.

ჩვენს პარტიას, თქვა მან, ურთიერთობა აქვს თითქმის ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიასთან. განსაკუთრებით მრავალმხრივია ჩვენი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან. ჩვენს პარტიას ორმხრივ სწყრს, რომ საბჭოთა კავშირის სანიმუშო კომუნისტური პარტიასთან ურთიერთობა ეფუძნება ანტიმარქსისტული შეხედულებებისა და პრაქტიკის წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა, ნაციონალიზმისა და ანტისაბჭოურობის წინააღმდეგ. მაგალითად, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია პრინციპულად იბრძვის მაოიზმის წინააღმდეგ, რომელმაც პრაქტიკულად ჯგუფ კავშირი მეცნიერული ინტერნაციონალიზმის ლენინურ ინტერნაციონალიზმს პრინციპებთან და ცდილობს ძირი გამოუთხაროს ჩვენი მოძრაობის ერთიანობას, ხელი შეგვიშალოს მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს ყველა დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხში.

ჩვენი პარტიის XI ყრილობა, განაგრძო ი. კადარმა, შეიკრიბა ისტორიული იუბილეს — ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების, ოცდამეათე წლისთავის წინ. ამ მოახლეობელი წლისთავის გამო ჩვენი პარტიის წევრთა, ჩვენი ხალხის სახელით უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობა მივესალმება ჩვენს განმათავისუფლებელს — საბჭოთა კავშირს, საბჭოთა კავშირის სახელვან კომუნისტურ პარტიას, დიდ საბჭოთა ხალხს.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის, რომ იგი მიიღებს გადწყვეტილებას ჩვენი პარტიის ახალი საპროგრამო განცხადების შესახებ. საშინაო და საერთაშორისო ვითარება ხელს უწყობს ჩვენს აღმშენებლობითს სოციალისტურ მუშაობას. ჩვენ გვაყავს ბრძოლებში ნაწრთობი პარტია, შეგნებული მუშათა კლასი, შრომისმოყვარე გლეხობა, ნიჭიერი ინტელიგენცია. ჩვენს აღმშენებლობითს შრომაში მარტო როდი ვართ. ჩვენთან არიან ჩვენი მეგობრები, ჩვენი მოკავშირენი, და ვამაყობთ ამით, რომ ჩვენი ქვეყანა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა მთელი კაცობრიობის პროგრესისათვის მებრძოლი ძალების ავანგარდში დგას.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თქვა დასასრულ ი. კადარმა, დარწმუნებულია, რომ პარტიას, უნგრელ ხალხს შეუძლიათ გადაწყვეტონ სულ უფრო დიდი ამოცანები. ეიფორ დოემოე წყვეტდნენ, მიაღწიონ იმ შთამაგონებელ მიზნებს, რომლებსაც ჩვენი ყრილობა დასახავს.

(დამსწრეთ ამხ. ი. კადარის მოხსენება დიდი ყურადღებით მოისმინეს. მოხსენების დროს მრავალგზის გაისმოდა ხანგრძლივი ტაში).

ოფიციალური ინფორმაცია

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მინისტრთა საბჭოს [illegible] ერთიანი ესკოტა [illegible] ერთიანი ესკოტა [illegible] ერთიანი ესკოტა



აჭარის გაზაფხული

საბჭოთა აჭარა 54 წლისაა

1921 წლის 18 მარტს აჭარაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამ დღეს აჭარის მშრომელებმა დიდი რუსი ხალხისა და წითელი არმიის დახმარებით დაამხეს მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება და ოქტომბრის დიდი მზე ამობრწყინდა მრავალტანჯული აჭარის მიწაზე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დაიწყო აჭარის მშრომელთა ნამდვილი ისტორია, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი შესაძლებლობები შექმნა აჭარაში საუნეფობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, მხარის ეკონომიკისა და კულტურის დაჩქარებული განვითარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე მრეწველობის განვითარებას. აშენდა ახალი ფაბრიკები და ქარხნები, შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები. აჭარის მრეწველობა ახლა ერთ დღეში უშვებს გაცილებით მეტ პროდუქციას, ვიდრე რევოლუციამდელი აჭარის მრეწველობა მთელი წლის განმავლობაში.

აჭარის სამრეწველო საწარმოების პროდუქცია — ნავთობპროდუქტები, ფყალქვემაფრთიანი კატარღები, ელექტროსაწვავები, კვების მრეწველობის მანქანები, ციტრუსოვანთა კონსერვები, ავეჯი, შავი და მწვანე ბაიხაო ჩაი კარგადაა ცნობილი ბარმარტო სსრ კავშირში, არამედ უცხოეთის ბევრ ქვეყანაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად აჭარის მრეწველობის მუშაკებმა თავი დაადწიეს მეცხრე ხუთწლედის პირველ წლებში შექმნილ სერიოზულ სიძნელეებს და ჩამორჩენას. 1974 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა 1970 წელთან შედარებით გაიზარდა 21,8 პროცენტით ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 20,8 პროცენტის ნაცვლად. ხუთწლედის განვლილ 4 წელიწადში გეგმის გადამეტებით წარმოებულია 36 მილიონი და რეალიზებულია 58 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციები 1921 წლის 500 ჰექტარიდან საბჭოთა ხელისუფლების წლებში 14.500 ჰექტარამდე ავიდა, ამავე პერიოდში ჩაის ფოთლის წარმოება გაიზარდა 127-ჯერ, ციტრუსოვანთა ნაყოფისა კი 520-ჯერ. სუბტროპიკული კულტურები სოფლის მშრომელთა შეძლებული და კულტურული ცხოვრების უშრეტ წყაროდ იქცა. აჭარის მთიანი სოფლების ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეთამბაქოობას, მეკვნესოობას, მეხილეობასა და მეცხოველეობას, რომელთა განვითარებას უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

აჭარის მშრომელები რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად მხურვალედ იწონებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა ღონისძიებებს, რომელთა გატარება ზრდის მათს შრომითს ენთუზიაზმს.

ახლრციელებენ რა სკკპ XXIV ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში დასმულ ამოცანებს, აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მარშან აჭარის მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 45.900 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 7,9 ათასი ტონით აღემატება სახელმწიფო გეგმას და 1900 ტონით გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებას. შარშან სახელმწიფოს მიეყიდა 78 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებას.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს აჭარის მშრომელთა თავდადებულ შრომას. 1974 წლის სახალხო სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მოპოვებისათვის აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოდა აგრეთვე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა. ქ. ბათუმსა, ქობულეთის რაიონსა, რიგი მოწინავე საწარმოების შრომითმა კოლექტივებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკგ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები დაიმსახურეს. ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აჭარის სოფლის მეურნეობის 163 მოწინავე, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, დაჯილდოვა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქალაქები და სოფლები დაიფარა სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებებით. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 5 ათასზე მეტი ექიმი და ექიმის თანაშემწე. აჭარაში ყოველ 1.000 სულზე 6-7-ჯერ მეტი ექიმი მოდის, ვიდრე ირანში, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა გადაიქცა საკავშირო მნიშვნელობის ჯანმრთელობის კვრად. შავი ზღვის სანაპიროზე შეიქმნა შესანიშნავი კურორტები. აშენდა კეთილმოწყობილი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები და ტურისტული ბაზები. აშკამად ქობულეთში შენდება დასასვენებელი სახლების დიდი კომპლექსი.

კულტურული რევოლუციის ლენინური იდეების განხორციელების შედეგად უდიდესი გარდატეხა მოსდა აჭარის მშრომელთა მსოფლმხედველობასა და ყოფა-ცხოვრებაში. ამჟამად აჭარაში არის 429 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 11 საშუალო სპეციალური და პროფტექნიკური საწავლებელი, პედაგოგიური ინსტიტუტი და ხელოვნების სასწავლებელი, ერთ-ერთი ეროვნული ოპერეტა. იყო ქართული საფორნტო გაზეთის „მედგარი შეტევის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.

ქერჩის ბრძოლების შემდეგ ა. კელენჯერიძე კვლავ „კომუნისტის“ რედაქციის უბრუნდება. 1943 წლის დამლევს კი გადაჰყავთ ბათუმში, საოლქო გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორად.

რამდენადაც იმ წლებში, როგორც გაზეთის მუშაკი, ამ ადამიანის გვერდზე აღმოვჩნდი, თავს უფლებას მივცემ უფრო დაწვრილებით შევჩერდე ამბ. ანტონის რედაქტორულ და საზოგადოებრივ საქმიანობაზე ამ პერიოდში.

გაზეთმა გაბედულად შემოიკრიბა ახალგაზრდობა. პედაგოგიოკახში დაბადებულსა და აღზრდილს, თავადაც ბუნებით აღმზრდელს, ა. კელენჯერიძეს ყოველთვის ეადვილება ადამიანებთან საერთო ენის გამონახვა, მათი შემომტკიცება საერთო საქმის კერებს, სუბტროპიკულ მეურნეობებს; ამასე, თუ როგორ ხდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის რეკონსტრუქცია-გაფართოება, როგორ მიიწევდა საავტომობილო გზების კილომეტრები ფშავ-ხევსურეთისა და სვანეთის მთებში.

ცხოვრების შუაგულში ტრაილით გაწყობილ ჟურნალისტს სულ უფრო და უფრო პასუხსაგებ მოვალეობას ანდობდნენ რედაქციაში — ლიტერატურულ მუშაობიდან რედაქციის პასუხისმგებელ მდივნობამდე. სწორედ ამ პოსტზე მოუსწრო მას დიდმა სამამულო ომმა. პარტიისა და მოწოდებისთანავე ა. კელენჯერიძე სამხედრო ჟურნალისტთა რიგებში ჩადგა. ის მონაწილეა ყირიმის მძიმე და გმირული ეპიპეისა. იყო ქართული საფრონტო გაზეთის „მედგარი შეტევის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.

ა. კელენჯერიძე ომის შემდეგ „ლენინური ალაბის“ ფურცლებზე ეწეოდა ინტერესებისათვის. მის ხასიათში შერწყმულია მკაცრი მომთხოვნელობა და ადამიანური სითბო.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გაზეთმა წინა პლანზე წამოსწია მრავალი ისეთი საკითხი, რომელთაც საქართველოს უმაღლესი ინტერესი აქვს — აჭარის შემდგომი განახლება-განვითარებისათვის საკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ეს იყო პერიოდი, როცა პარტიული და საბჭოთა ორგანოების, მთელი საზოგადოების ერთობლივი ღონისძიებებით გაიშალა ფართო და ენერგიული ბრძოლა წარსულიდან შემორჩენილი დრო-მოჭმული ტრადიციების და ჩვევების უკუგდებისათვის, ნამდვილი სულიერი განახლებისათვის, ვაზის კულტურის აღორძინებისათვის. ამ პროცესის ეფექტურად წარმართვის საქმეს შთაგონებული ხელმძღვანელობა ედგა.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოდან ა. კელენჯერიძეს ეხედავთ რადიომაყურებლებისა და ტელევიზიის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის საპასუხისმგებლო პოსტზე. კომიტეტში მუშაობის მთელი ათი წლის მანძილზე მისი ხელმძღვანელობით მრავალ ახალ საქმეს ჩაეყარა საფუძველი, გაიზარდნენ რადიო და ტელეჟურნალისტთა ახალი კადრები.

უკანასკნელი წლების მანძილზე ანტონ კელენჯერიძე ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორია. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალში დაცული ფონდების შესწავლის საფუძველზე ღვაწლმოსილმა ჟურნალისტმა გამოავლინა სპარსეთის 1905-1911 წლების რევოლუციაში ქართველ რევოლუციონერთა ფართო მონაწილეობის საინტერესო ფაქტები. როგორც გამოირკვა, ამ რევოლუციის ძიმდინარეობას თავის დროზე ქართულ პრესაში აშუქებდა გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე ს. ორჯონიკიძე. ამ მასალების საფუძველზე დაწერილი ა. კელენჯერიძის წიგნი „ს. ორჯონიკიძე — ჟურნალისტი“ უკვე მიიღო მკითხველმა, ხოლო წიგნი სპარსეთის რევოლუციაში ქართველ რევოლუციონერთა მონაწილეობაზე ახლო ხანში გამოვა. ა. კელენჯერიძისათვის ჩვეული გულწრფელობით და სიმართლით არის დაწერილი ბროშურა „ქერჩი, 1942“, რომელმაც კარგი შეფასება დაიმსახურა.

ა. კელენჯერიძის სამსახურებრივი და ჟურნალისტური საქმიანობა მუდამ მჭიდროდ არის დაკავშირებული მის საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან. იგი არაერთხელ აურჩევიათ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის ყრილობების დელეგატად. ამჟამად არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სარედაქციო კომისიის წევრი. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრი, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე. მისი დამსახურება აღნიშნულია მრავალი ორდენითა და მედლით. მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

უკან დარჩა შეუნელებელ შრომაში გატარებული ათეული წლები. მაგრამ მიუხედავად წელთა სიმრავლისა, ა. კელენჯერიძე მხნე და მოუღლელია. მის სახეს კვლავაც შვენის ადამიანებისადმი ნდობისა და სიყვარულის გამომხატველი კეთილი ღიმილი, მისი გაწაფული ჟურნალისტური კალამი კიდევ ბევრ რამეს გვპირდება.

ი. რურუა.

რეკლამა

გუნდრუკის საამო კვამლში

გამომცემლობა „მეცნიერება“ გამოუშვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომების კრებული „ეკონომიკა“, ტომი მეექვსე. იგი მიძღვნილია ინსტიტუტის 30-ე წლისთავისადმი.

ამ კრებულს ერთი თავისებურება აქვს, რაც მისი გაკვრით გაცნობისასაც კი ერთბამად იპყრობს ყურადღებას. წიგნში 300 გვერდზე ცოტა მეტია, და აქედან 200 გვერდი ან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პროფესორ პ. ბ. გუგუშვილის ნაშრომებს უჭირავს, ან მასალებს თვითონ მის შესახებ, მისი მეცნიერული დამსახურების შესახებ. ავიღოთ, მაგალითად, ინსტიტუტის განყოფილების გამგის ბ. ა. ხასიას მიმოხილვითი სტატია. არსებითად ეს არის მთლიანად ინსტიტუტის და კერძოდ პ. ბ. გუგუშვილის მუშაობის პანეგირიკი. სტატიის 94 გვერდზე პროფესორის სახელი მოხსენიებულია 100-ჯერ და მეტად, რომ აღარ ჩავთვალოთ ნაცვალსახელები „იგი“, „მისი“, „მას“ და სხვა. „აკადემიკოს პ. ბ. გუგუშვილის ხელმძღვანელობით... პროფესორ პ. ბ. გუგუშვილის ინიციატივით... მან მაღალი შეფასება მისცა... მის კაპიტალურ შრომაში... განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აკადემიკოსის მონოგრაფიას... პროფესორ პ. ბ. გუგუშვილის მიერ დაწერილი სერიოზული გამოკვლევები გახდა საფუძველი ამ განმაზოგადებელი შრომისათვის... აღსანიშნავია პროფესორ პ. ბ. გუგუშვილის კაპიტალური და საერთოდ აღიარებული გამოკვლევები“... და სხვ. და ა. შ.

შევნიშნავთ. ჩვენ სრულებითაც საეჭვოდ არ ვხდით პროფესორის ნაშრომთა მნიშვნელობას და არც მათ შეფასებას ვკისრულობთ. ეს სპეციალისტების საქმეა. აქ ლაპარაკია სხვა რამეზე — მეცნიერის ეთიკის ელემენტარული პრინციპების დაცვაზე.

როგორ დაუშვა მან თავისი სახელისა და თავისი ნაშრომების ასეთი თავშეყრავებელი შექება? იქნება, იგი არც იცნობდა მომზადებული ტომის შინაარსს? ამ კითხვებზე პასუხს თვითონ ნაშრომი, შეიცავს. სარედაქციო კოლეგიის წევრებს შორის აღნიშნულია პ. ბ. გუგუშვილი — მთავარი რედაქტორი. იგი რედაქტორობდა დასახელებულ მეექვსე ტომსაც. და უკანასკნელი დეტალი: ინსტიტუტის დირექტორი სხვა ვინმე კი არა, არამედ პ. ბ. გუგუშვილია. ძნელია შეინარჩუნო ზომიერების გრძნობა, გუნდრუკს რომ გიკმევენ. პროფესორი მაშინაც კი არ გამოთქვამს წინააღმდეგობას, როცა ზემოხსენებული მიმოხილვითი სტატიის ავტორი თავისი პაამებლობით პირდაპირ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მას იმით, რომ სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულების მუშაკებს „პ. ბ. გუგუშვილის ინსტიტუტის თანამშრომლებს“ უწოდებს.

განა შეშვენის ეს მეცნიერს? და როგორ არ გავიხსენოთ ამ ძველი ქართული თქმა „სიბრძნეს ყველაზე მეტად თავმდაბლობა შეშვენებსო“.

ვ. ლეგანიძე,

„პრავდის“ კორ.

(„პრავდა“, 16/III).

ᲓᲦᲔᲡᲘᲚᲘᲡᲢᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ

სოციალისტურ ქვეყნებში

განახლებულ უნგრეთში

„ბუდაპრესის“ სააგენტო

ლენინვაროში — 17 წლის ქალაქი

ქალაქი თქვენს თვალწინ როგორღაც სრულიად მოულოდნელად გაიშლება, როგორც კი შორს ელექტროსადგურის მილისაკენ მიმავალი გზატკეცილი მოუხვევს. ამ ცაში აწვდილი გიგანტური სვეტის მარცხივ ერთმანეთზე მაყოლებით ჩამწკრივებულია საცხოვრებელი კვარტალები და ახალშენებლობათა კოშკური ამწეები. მარჯვნივ მოჩანს ტისაის კომბინატის საწარმოთა ესკადრა, რომელიც ქალაქს პატარა ტყით არის დაცილებული. ეს არის ლენინვაროში — უნგრეთის ქიმიური ინდუსტრიის ცენტრი.

ქალაქი სრულიად ახალგაზრდაა. მისი პირველი შენობები 17 წლის წინათ აღიმართა. გრძელი, ღარივით სწორი ქუჩები მიემართება ცენტრალური მოედნისაკენ, რომელიც საუკეთესოდ კომპოზიციებით არის დამშვენებული. ლენინვაროშის სტუმრებს აქაურები უჩვენებენ ახალ სასტუმრო „ოლეფოსსს“, კულტურის სასახლეს, სადაც ხშირად გამოდიან ბუდაპეშტის ფილარმონიის მუსიკოსები და მიმოკლაცის თეატრის მსახიობები, მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა მყუდრო და ვრცელ საერთო საცხოვრებლებს.

ლენინვაროშში ახალგაზრდა მარტო სახლები როდია. მცხოვრებთა სამუშაოო ასაკი 25-30 წელს არ აღემატება. აქ გაცილებით მეტი ბავშვი იბადება, ვიდრე ძველ ქალაქებში.

ლენინვაროში იზრდება და ვითარდება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ეკონომიური ურთიერთთანამშრომლობის, სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური ინტეგრაციისა და კოოპერაციის საფუძველზე. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ეს ქალაქი საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების კოლექტიური წევრია.

მსოფლიო აღიარება

უკანასკნელ 25 წელიწადში ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოება სახალხო უნგრეთში ოთხჯერ გაიზარდა. მსოფლიო სტანდარტების დონეზე დამზადებულ პროდუქციას უშვებენ ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიც არის ბუდაპეშტის ჩარხსამშენებლო კომბინატი, ჩეპელის ჩარხსამშენებლო და დიმშდერის მანქანათსამშენებლო ქარხნები. ისინი უშვებენ რადიალურ-საბურღავ და სხვა უნივერსალურ ჩარხებს, ციფრული მართვის თანამედროვე დაზგებს და სხვა.

უნგრული ჩარხების მაღალ ხარისხს მოწმობს მათი დიდი ავტორიტეტი მსოფლიოს ბაზარზე. მარშან, მაგალითად, გამოშვებული ჩარხების 60 პროცენტზე მეტი უცხოელმა დამკვეთმა, ძირითადად სოციალისტურმა ქვეყნებმა შეიძინეს.

ინტეგრაცია მოქმედებს

ᲓᲡᲡᲡᲠᲔᲚᲘ უახლოვდება მზადება საბჭოთა კავშირსა და უნგრეთს შორის 750 კილოვოლტიანი ელექტრგადამცემი ხაზის მშენებლობის დაწყებისათვის. იგი ერთმანეთს დაუკავშირებს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების გაერთიანებულ ენერგოსისტემას „მირს“ და სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ერთიან ენერგოსისტემას, რითაც საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის, მათ შორის უნგრეთისათვის, შესაძლებელი გახდება საბჭოთა კავშირიდან ელექტროენერგიის იმპორტის საგრძნობლად გაზრდა. ხაზის აგება 2,5 მილიარდი ფორინტი დაჯდება. საბჭოს წევრი ქვეყნები ერთობლივად გასწევენ ამ ხარჯებს და ელექტროენერგიის (უნგრეთზე გავლით) პროპორციულად მიიღებენ მშენებლობაში თავიანთი მატერიალური წვლილის მიხედვით. ხაზის სიგრძე უნგრეთის ტერიტორიაზე 285 კილომეტრი იქნება, ხოლო გამტარუნარიანობა — 2.000 მეგავატი.

უნგრეთის კავირეულები საზღვარგარეთ

უნგრეთის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტი 1975 წელს საზღვარგარეთ 250 გამოფენას მოაწყობს. მეტი წილი ამ გამოფენებისა მთლიანად ან ნაწილობრივ ფაშიზმისაგან უნგრეთის განთავისუფლებას 30-ე წლისთავს მიეძღვნება. სოციალისტური ქვეყნების დედაქალაქებში უნგრეთის ეროვნული განთავისუფლების ზეიმთან დაკავშირებით გაიმართება უნგრეთის კვირეულები. ასეთი კვირეულები გაიმართება აგრეთვე ნიცაში, ჰელსინკში, ბრესლაში, ბაღდადში, დამასკოში, პერუს, არგენტინის და ვენესუელის ქალაქებში, სადაც უნივერსიტეტებში უნგრულ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს, მოცეკვაობა მხატვრული ანსამბლი, მუსიკალური და თეატრალური საღამოები.

ᲓᲔᲑᲠᲔᲪᲔᲜᲘ ᲓᲦᲔᲡ

ᲓᲔᲑᲠᲔᲪᲔᲜᲘ **უნგრეთის უძველესი ქალაქია. იგი 600 წლისაა. მაგრამ თანამედროვე უნგრეთის ისტორიაში დებრეცენი იმით არის ცნობილი, რომ 1944 წელს საბჭოთა არმიის მიერ ქალაქის განთავისუფლების შემდეგ აქ შეიქმნა დროებითი ეროვნული მთავრობა, რომელმაც ომი გამოუცხადა ფაშისტურ გერმანიას და განახორციელა დემოკრატიული გარდაქმნები. სახალხო ხელისუფლების წლებში დებრეცენი მაღალგანვითარებულ სამრეწველო ქალაქად იქცა.**

სურათზე: დებრეცენის ერთ-ერთი კუთხე.

მტი-საკდსის ფოტო.

მიზანი — თანასწორობა და სამართლიანობა

ᲐᲓᲘᲡ-ᲐᲑᲔᲑᲐ. 17 მარტი. (საკდესი). ეთიოპიაში ახლანდელი რევოლუციურ გარდაქმნათა მიზანია შეიქმნას მტკიცე პოლიტიკური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ყველა მოქალაქის თანასწორობასა და სოციალურ სამართლიანობას. ეს ნათქვამია ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული კომიტეტის განცხადებაში, რომელიც გაზეთ „ადის ზემენში“ დაიბეჭდა.

რეაქციული ელემენტები, აღნიშნულია განცხადებაში, ისწრაფვიან შეაჩერონ მასების მოძრაობა თავისუფლებისაკენ. ამ მიზნით ისინი იყენებენ ყველა საშუალებას, მათ შორის რელიგიურ და ტომობრივ განსხვავებას. რეაქციონერებზე გამარჯვება, აღნიშნავს დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული კომიტეტი, შეიძლება მხოლოდ ხალხთა მასების ორგანიზებულობისა და ქვეყნის მთელი პროგრესული ძალების ერთიანობის პირობებში.

დროებითმა სამხედრო ადმინისტრაციულმა კომიტეტმა მოუწოდა ყველა ეთიოპს აქტიური მონაწილეობა მიიღოს თავისუფლებისათვის, სოციალური სამართლიანობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

სასარგებლო ვიზიტი

ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘ, (საკდესი). აქ საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან დაბრუნდა პორტუგალიის თევზჭერის სახელმწიფო მდივანი მარიო დი ოლივეირა რუივუ. ლისაბონის აეროპორტში გაკეთებულ განცხადებაში მან აღნიშნა, რომ მოსკოვში მოლაპარაკება მიმდინარეობდა საქმიანი თანამშრომლობის, ურთიერთგაგების ვითარებაში და უაღრესად სასარგებლო იყო. ჩვენ სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან განვიხილეთ თევზსაჭერი მეურნეობის განვითარების დარგში ორივე ქვეყნის გამოცდილება.

მარიო დი ოლივეირა რუივუმ განაცხადა, რომ მიღწეულია შეთანხმება, რომლის მიხედვით პორტუგალიელი მეცნიერები შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-საკვლევ გემებზე მეცნიერულ მუშაობაში, აგრეთვე ითანამშრომლონ საბჭოთა კოლეგებთან თევზჭერის საერთაშორისო რეგიონალურ კომისიებში. რომლებშიც ორივე ქვეყანა მონაწილეობს.

გავიდა მუდმივ ორბიტაზე

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 17 მარტი. (საკდესი). ამერიკის ავტომატურმა სადგურმა „მარინერ-10“-მა კვირას წარმატებით დაამთავრა პლანეტა მერკურის მახლობლად ოთხი საათის ფრენა და დედამიწაზე გადმოსცა პლანეტის ასობით ფოტოსურათი, რომლებზეც ფეხბურთის მოედნის ზომის ობიექტების გარჩევა შეიძლება.

სადგურის თერენის ხელმძღვანელმა დოქტორმა ჯეიმს დანმა განაცხადა, რომ „ახლა“ მარინერ-10 მოკვდება, ვინაიდან მან საწვავის ყველა მარაგი დახარჯა და აღარ შეუძლია თავისი მზის ბატარეების ორიენტირება“. სადგურმა კოსმოსში გაიფრინა მილიარდ-ნახევარზე მეტი კილომეტრი. მერკურის ფოტოსურათები გადაღებულია დაახლოებით 200 კილომეტრი სიმაღლიდან. „მარინერ-10“-მა გადმოსცა აგრეთვე ინფორმაცია მერკურის მაგნიტოსფეროს შესახებ. ახლა სადგური მზის ირგვლივ მუდმივ ორბიტაზე გავა.

კონსტრუქციული წინადადებანი

ᲕᲔᲜᲐ, (საკდესი). ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების მონაწილეთა მორიგ პლენარულ სხდომაზე გაგრძელდა სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მიმდინარე წლის 6 მარტის ახალი წინადადების განხილვა. იგი დაემატა ღონისძიებათა ფართო პროგრამას, რომელიც სოციალისტურმა ქვეყნებმა წამოაყენეს ვენის მოლაპარაკების დროს, იღვწიან რა მოლაპარაკების უშუალო მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალებისა არსებითი შემცირებისათვის.

ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ მოსამზადებელი კონსულტაციების დროს შეთანხმებული რომელიმე სახელმწიფოს უშიშროებისათვის ზიანის მიუყენებლობის, უფლებათა თანასწორობისა და ერთიერთვალდებულებების ფუძემდებელი პრინციპებით, შემოიტანეს 1973 წლის 8 ნოემბრის შეთანხმების პროექტის შესწორებანი და დამატებანი. მათში გათვალისწინებულია დასავლეთის ქვეყნების პოზიცია ვენის მოლაპარაკებზე.

დასახელია წინადადება, 1975 წელს შემაკიროს შეიარაღებული ძალები შესაბამისი შეიარაღებითა და საბრძოლო ტექნიკით: წლის პირველ ნახევარში — საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 10-10 ათასი კაცით, წლის მეორე ნახევარში კი — გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ 5-5 ათასი კაცით, შემდეგ 5-5 ათასით ამცირებენ იმგლისი, ბელგიუქსის ქვეყნები და კანადა. ერთი მხრივ, და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა — მეორე მხრივ.

1976 წელს ყველა მონაწილე ქვეყანამ თავისი შეიარაღებული ძალები უნდა შეამციროს 5 პროცენტით, მაგრამ ისევ — წლის პირველ ნახევარში ამცირებენ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, მეორე ნახევარში კი — ყველა დანარჩენი ქვეყანა.

და მხოლოდ მესამე ეტაპზე, 1977 წელს ყველა მონაწილე ერთდროულად 10 პროცენტით ამცირებს შეიარაღებულ ძალებსა და შეიარაღებას.

ამ წინადადებათა შინაარსი უეჭველს ხდის, რომ მათში გათვალისწინებულია მოლაპარაკების დასავლელ მონაწილეთა სურვილები შემცირების თანამიმდევრულობის და მოცულობის თაობაზე.

ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ინიციატივებისა და მათი მოქნილობის შედეგად ვენის მოლაპარაკების დასავლელ მონაწილეებს ახლა თართო შესაძლებლობა აქვთ სიტყვით კი არა, საქმით ცხადყონ, რომ ნამდვილად დაინტერესებული არიან ცენტრალური ევროპის შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არსებითი შემცირებით და მზად არიან ამითაც უპასუხონ სოციალისტური ქვეყნების კონსტრუქციულ ინიციატივებს.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან...

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. უახლოეს დღეებში გლაზგოში მოუურიან თავს ჯარებს ნაგვის გასაწმენდად, რომლის მთელი მთები შოტლანდიის ამ უდიდესი ქალაქის ქუჩებში. ეს გადაწყვეტილება ხელისუფლებამ მიიღეს გლაზგოს ნაგვის ასაწმენდი მანქანების მძღოლთა გაფიცვასთან დაკავშირებით, რომლებიც ხელფასის მომატებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას მოითხოვენ.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. მზადება ქალთა მსოფლიო კონგრესისათვის, რომელიც 1975 წლის ოქტომბერში გაიმართება ბერლინში, — ძირითადი საკითხია, რომელსაც ჟენევაზეის ქალაქ ოლტენში იხილავდნენ მშვიდობისა და პროგრესისათვის მებრძოლ შვეიცარიელ ქალთა ფედერაციის სემინარზე.

ᲓᲔᲚᲘ. ინდოეთის მოსახლეობის ყოველწლიური ზრდა 1965 წლიდან 1974 წლამდე განვლილ პერიოდში შეადგენდა საშუალოდ 2.18 პროცენტს. განაცხადა პარლამენტში ინდოეთის დაგეგმვის სახელმწიფო მინისტრმა ვ. ჩ. შუკლამ.

ᲚᲐ-ᲞᲐᲡᲘ. ბოლივიაში შეიქმნა კულტურის ეროვნული ინსტიტუტი. ინსტიტუტის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია ბოლივიის კულტურის ისტორიის შესახებ მეცნიერული კვლევის წარმოება და ეროვნული ისტორიული ძეგლების დაცვის ორგანიზაცია. ინსტიტუტის საქმიანობაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ბარუთვი იმ ძველი ტომების კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა, რომლებიც ახლანდელი ბოლივიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, სანამ მას ესპანელები დაიპყრობდნენ. (საკდესი, 17 მარტი).

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ᲓᲦᲔᲡᲘᲚᲘᲡᲢᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ • ᲓᲦᲔᲡᲘᲚᲘᲡᲢᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ • ᲓᲦᲔᲡᲘᲚᲘᲡᲢᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ

გახსენება XXX

გიწვევთ ტრადიციულ შეხვედრაზე

სად ხართ თქვენ, თანაპოლკელებო?

ფლეგანდელი წლის 25-26 მაისს მოსკოვში, კრემლის მაცხოვრის კოშკთან ეწყობა ყოფილი 47-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის მებრძოლების, ოფიცრების ტრადიციული მეათე შეკრება.

ამ სახელგანთქმული შენაერთის მებრძოლები არიან მოსკოვის დამცველები, ისინი ანადგურებდნენ ფაშისტებს სტალინგრადთან, იცავდნენ ტულის, ტრისაგან გათავისუფლეს კალუგა, გადალახეს დნეპრი, იყვნენ ბერლინის შტურმის მონაწილენი.

47-ე დივიზიის შემადგენლობაში ბევრი იყო საქართველოდანაც. ზოგიერთი მათგანი თბილისში ცხოვრობს.

გთხოვთ, ძვირფასო მეგობრებო, მონაწილეობა მიიღოთ ჩვენს ტრადიციულ შეკრებაზე, გავიხსენოთ ომის დღეები, გავიხსენოთ ჩვენი მებრძოლი მეგობრები.

ვისაც გსურთ ჩვენს შეხვედრაში მონაწილეობა მიიღოთ, გვაცნობეთ ასეთი მისამართით: Татарская АССР Казань, индекс 422800. Верхний услон, Садовая, 25. Михееву Григорию Ивановичу.

მოგახსენებთ ჩემს შესახებ. მე ვარ სამამულო ომის მონაწილე, 47-ე გვარდიული დივიზიის მეკავშირე.

ამ ტრადიციულ შეხვედრაზე თქვენი მონაწილეობის შესახებ ვაცნობებ მოსკოვში, შეხვედრის საორგანიზაციო კომიტეტს.

გ. მიხეევი.

წერილი მოსკოვიდან

ქვირფას მასწავლებელს, მეთაურს

აგაშა. (საკ. კორ.). ომის ვეტერანს ოთარ შენგელიას მიღებული აქვს ორი წითელი დროშის, სამამულო ომის პირველი ხარისხის და ალექსანდრე ნეველის ორდენები, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალური მედალი ომამდე — ხალხან-გოლის რაიონში იაპონელი სამურაების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობისათვის.

მაგრამ ო. შენგელია არანაკლებ სათუთად ინახავს კიდევ ერთ რელიკვიას — ეს არის სურათი წარწერით... საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტ ევგენი მატვეევისაგან. მაყურებელმა ალბათ ახსოვთ ე. მატვეევი კინოფილმებიდან: „დილა შვიდეზისა“, „მაძიებელი“, „სახლი, რომელშიც ვცხოვრობ“, „გატეხილი ყამირი“, „აღდგომა“, „პირველი ბასტილია“, „ბოშა“, და სხვები.

აი რას წერს იგი: „ძვირფას მასწავლებელს, მეთაურს ოთარ სანბასაძეს შენგელიას, დიდი მადლობისა და აღტაცების გრძნობით მარად ერთგული ევგ. მატვეევისაგან“.

დიდი სამამულო ომის წინ ქართველი ოფიცერი მეთაურთა სასწავლებლის მასწავლებელი იყო. აქ სწავლობდა შავტუხა ყუბანელი ჰაბუკი, ჯაზაკი ევგ. მატვეევი, რომელიც ომის შემდეგ მოვიდა ხელოვნებაში და საბჭოთა კინოს ცნობილი მსახიობი გახდა...

მუშეგი მეგობრობენ მესაზღვრეებს

ბათუმი. (საკ. კორ.). ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30-ე წლისთავის აღსანიშნავად ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაში მრავალფეროვანი ღონისძიებები ტარდება. მოეწყო სტენდი, სადაც გამოფენილია ამ თვალდაფეულ მებრძოლთა პორტრეტები, რომლებიც დიდ სამამულო ომში წარგზავნილნი იყვნენ აქედან.

ქარხანაში შეხვედრები ეწყობა დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან და გარნიზონის მებრძოლებთან. მუშები ახლახან ეწვივნენ მესაზღვრეებს, მოეწყო გულთბილი საუბრები, გადასცეს ყნენები, ხოლო დასასრულს გაიმართა მეგობრობის კონცერტი, რომელშიც ქარხნის საესტრადო ბრიგადასთან ერთად მესაზღვრეებიც მონაწილეობდნენ.

ამანათი გაიგზავნა ბამ-ზე

ბაიკალ-ამურის რკინიგზის გიგანტური მაგისტრალის მშენებლობაზე საქართველოდან წარგზავნილი ათასობით კომკავშირელი მუშაობს, მათ შორის ბევრია აფხაზეთიდან.

თავიანთ წარგზავნილებს, რომელნიც საშვილიშვილო საქმეს აკეთებენ, ერთი წუთითაც არ ივიწყებენ შინ დარჩენილი ახალგაზრდები.

მისაბაძი თაოსნობა გამოიჩინეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძუბეის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. ამას წინათ მათ ამანათი გაუგზავნეს ბაიკალ-ამურის მშენებლობაზე მომუშავე თანამემამულეებს — ამანათში იყო პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა.

მ. ჯოჯუა.

გათუმი — საქართველოს საზღვაო კარიბჭე



გათუმის საზღვაო ნავსადგური საქართველოს მთავარი საზღვაო კარიბჭეა. რომელი ქვეყნის დროშებს არ ნახავთ აქ რეიდზე მდგარ გემებზე.

წარმატებით დაამთავრა შარშანდელი წელიწადი ნავსადგურის მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა. გეგმის ზევით გადამუშავებულია 58.000 ტონა სამეურნეო ტვირთი და 880.000 ტონა ნავთობი.

მაღალი ტემპით დაიწყო ნავსადგურმა ახალი წელიც. უკვე გადამუშავებულია 200.000 ტონა ტვირთი და 1.900.000 ტონა ნავთობი.

კიდევ უფრო კეთილმოწყობილი და მძლავრი გახდება ბათუმის ნავსადგური მომავალ წლებში. ამუამად მიმდინარეობს ნავსადგურის ნავთობდამამუშავებელი რაიონის ძირითადი რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც ერთი-ორად გადიდდება მისი ტვირთგამტარიანობა.

ნავსადგურის ერთ-ერთ უბანში აღიმართა ახალი უნიკალური „ხარტმანის“ ტიპის ორი მძლავრი პნევმოგადამტვირთავები, რომლებიც დაამზადეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ამ თვითეული 40 მეტრის სიმაღლის 230-ტონიან პნევმოგადამტვირთავის წარმადობა საათში 150 ტონა ტვირთია, ადრე არსებული პნევმოდანადგარების წარმადობა კი საათში 10 ტონა იყო.

მალე დაიწყება ბათუმის ნავსადგურის განახლება. გემმისადგომის რეკონსტრუქციის პროექტი შემუშავებულია ბაქოს საზღვაო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის მიერ. ახალი კეთილმოწყობილი გემმისადგომი საშუალებას მისცემს ბათუმის ნავსადგურს მიიღოს თანამედროვე ოკეანეების ლაინერები.

• • •

ხუროთმეტნი. მარცხნივ ზემოთ — ბათუმის ნავსადგურის მოწინავე მეგმენე შ. ჯინჭარაძე, რომელმაც წარმატებით შეასრულა ხუთწლედის გეგმა, — ქვემოთ — ნავსადგურში იტვირთება მორიგი გემი; მარჯვნივ — ახალი პნევმოდანადგარი „ხარტმანი“.

ს. კილაძის ფოტო და ტექსტი.

კალათბურთი

ორი მატჩი ლიდერთან

გუშინწინ და გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ორი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის. თბილისის „დინამო“ მასპინძლობდა გათამაშების ლიდერს ლენინგრადის „სპარტაკს“.

პირველ მატჩში ანგარიში დინამოელებმა წაიყვანეს — 2:0, 4:2, 6:2, მაგრამ სტუმრებმა მალე გაათანაბრეს იგი და წინ გავიდნენ — 12:10, 20:12, 26:16. შესვენებამდე ერთი წუთით ადრე თბილისელებმა ძირითადად პულავსკის უსტა ტყორცნებით აღადგინეს წონასწორობა — 34:34. მაგრამ ლენინგრადელთა ლიდერმა ა. ბელოგამ ოსტატურად მოთთავსა ბურთი წვენს კალათში და ტაიმი თავის გუნდს მოაგებინა — 36:34.

შესვენების შემდეგ ინიციატივას მეტწილად ლენინგრადელები ფლობდნენ, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდევ 11 ქულის სხვაობით — 81:70.

გუშინ ეს გუნდები განმეორებით შეხვდნენ ერთმანეთს.

მატჩის სიუჟეტი, რომ იტყვიან, განმეორებულ იქნა შესაშური სიზუსტით. ისევ და ისევ: თბილისელები დაწინაურდნენ, ლენინგრადელები დაეწიენ, შემდეგ წინ გავიდნენ... ტაიმი სტუმრებმა კვლავ ორი ქულის სხვაობით მოიგეს — 28:26, ფინალური საყვირი-სთვის კი თავიანთი წინაღობის უპირატესობა 17 ქულამდე გაზარდეს — 78:61.

ჩემპიონის სპატარტო წოდების მოსაპოვებლად ლენინგრადის „სპარტაკისათვის“ საკმარისია ცხკა-სთან დარჩენილ ორ შეხვედრაში ერთის მოგება.

ო. ნოზაძე.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 მარტისათვის

	თ.	გ.	წ.	ქ.
„სპარტაკი“	34	30	4	30
ცსკა	32	26	6	26
„დინამო“ მ.	32	23	9	23
„დინამო“ თბ.	32	18	14	18
„ულგორეხი“	34	18	16	18
„სტროიტელი“	34	14	20	14
„კალევი“	29	12	17	12
რტი	34	10	24	10
„სტატბა“	34	9	25	9
„ურალმაში“	32	4	28	4

ფეხბურთი

საკავშირო თასზე

თბილისის „დინამოს“ მეტოქე — ზაპოროჟიეს „მეტალურგი“

კვირას ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა სსრ კავშირის თასის ოცდამეთორმეტედფინალის პირველი მატჩები.

ზაპოროჟიეში ადგილობრივ გმა „მეტალურგმა“ ანგარიშით 2:1 (0:1, 1:1) დამატებით დროში დაამარცხა ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკი“ (ბურთები გიტანეს კოლოდინმა და ჩერნოვმა) და ახლა მეთექვსმეტედფინალში 23 მარტს შეხვდება თბილისის „დინამოს“.

ბაქოში „ნეფტჩიმ“ მოუგო ქუთაისის „ტორპედოს“ — 1:0 (ბურთი თამაშის 75-ე წუთზე გატანა რახმანოვმა) და მეთექვსმეტედფინალში შეხვდება ლვოვის „კარპატს“.

აი დანარჩენი მატჩების შედეგები: ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — ხარკოვის „მეტალისტი“ — 1:2, კემეროვოს „კუზბასი“ — პერმის „ზვეზდა“ — 0:1, სვერდლოვსკის „ურალმაში“ — იაროსლავლის „მინიკი“ — 1:2, დუშანბეს „პამირი“ — ნალჩიკის „სპარტაკი“ — 2:0, ფრუნზეს „ალგა“ — კრასნოდარის „ყუბანი“ — 2:1, სიმფეროპოლის „ტავრია“ — ყაზანის „რუბინი“ — 3:0.

კვირას ლენინგრადში

შავი ზღვის სანაპიროზე — ლესელიძის პანსიონატ „სპორტის“ ფეხბურთის მოედანზე კვირას გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ამხანაგური მატჩი.

დიდი ანგარიშით 4:1 ჯაიმარჯვეს თბილისელებმა. ჩვენი გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გოგია, ძოძუაშვილი, ხუციელავა, ჭელიძე, ებრალიძე, ჭორიძე, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, ქანთარია, გ. ნოდია, ესხვეა.

ამ გუნდების საათადარიგო შემადგენლობათა მატჩშიც დინამოელებმა გაიმარჯვეს — კვლავ 4:1.

ჭადრაკი

ძნელი გამარჯვება

10,5:9,5 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა საქართველოსა და აზერბაიჯანის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების შეხვედრა, რომელიც ცენტრალურ რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობდა. გუნდები, როგორც ცნობილია, ემზადებიან საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის. საქართველოს ნაკრებმა ძნელი გამარჯვება მოიპოვა.

მატჩში რამდენჯერმე იყო მომენტი, როდესაც სტუმრებს მიჰყავდათ ანგარიში, მაგრამ მეორე, გადამწყვეტ ტურში ჩვენმა ნაკრებმა მაინც გაიმარჯვა. პირველი დაფაზე გროსმაისტერი გუფელდი მოულოდნელად დამარცხდა ახალგაზრდა ოსტატ პავლენკოსთან.

ქართველი მოჭადრაკეები ამ მატჩში ექსპერიმენტებით შემადგენლობით ვამოდიოდნენ. ამჯერად არ უთამაშიათ მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილს, მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტ ნანა ალექსანდრიას, გროსმაისტერ ბუხუტი გურგენიძეს.

მარტის ბოლო რიცხვებში გაიმართება კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი, ამჯერად მოსკოვის გუნდთან.

დღეს ბერგენ-ან-ზეეში

აქ იწყება საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის საგანგებო კონგრესი. მან უნდა განიხილოს მსოფლიოს პირველობაზე ფიშერ-კარპოვის მატჩის საკითხი.

როგორც ცნობილია, ფიდე-ს უკანასკნელმა კონგრესმა ნიცაში დაამტკიცა ამ მატჩის რეგლამენტი და უკუაგდო ფიშერის მოთხოვნები, მაგრამ შემდეგ აშშ-ის საჭადრაკო ფედერაციამ მოახერხა საგანგებო კონგრესის მოწვევა.

ჰოლანდიაში კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრნენ ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტი როდიონოვი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი პეტროსიანი.

თხილამურები

„ლელოს“ პრიზი

ორი ახალი სპორტის ოსტატი — ასეთია ქართველ მოთხილამურეთა „ნადავლი“ ბაკურიანში გაზეთ „ლელოს“ პრიზისათვის გამართულ ბრძოლაში, რომელიც ამავე დროს სსრ კავშირის ჩემპიონატის მესამე ტური იყო სამთო-სათხილამურო სპორტში.

ბაკურიანელმა სვეტლანა ნასყიდაშვილმა („ოლმპიურნე“) ოსტატის შედეგი აჩვენა სწრაფდაშვებაში, ხოლო მისმა თანაგუნდელმა, 19 წლის სტეფანე მიქაბერიძემ („სპარტაკი“) — გიგანტურ სლალომში.

შეჯიბრებაზე, რომელიც ბაკურიანში წლევანდელი ზამთრის სეზონისათვის ერთ-ერთი უკანასკნელი იყო, თავი ისახელა დინამოელმა სვეტლანა ლებედევამ, რომელმაც მოიგო როგორც გიგანტური სლალომი (1.22, 50), ასევე სწრაფდაშვების მეორე ცდაც (1,28,81). პირველ დაშვებაში კი გაიმარჯვა ალევტინა ასკაროვამ („ბურევესტნიკი“) — 1.18,71. ვაჟებში გიგანტური სლალომი მოიგო „სპარტაკის“ წარმომადგენელმა მიხეილ ვერეზომამ, ხოლო სწრაფდაშვებაში საუკეთესო დრო აჩვენა ვალერი ცაგარეიშვილმა („ტრუდი“), რომელმაც 2.700-მეტრიანი ტრასის გავლას მოანდომა 1.54,20 წამი.

გამარჯვებულებს გადაეცათ გაზეთ „ლელოს“ პრიზები. გათამაშების შემდეგი, მეოთხე ეტაპი გაიმართება ტერსკოლში 24-28 მარტს.

მ. ზაქარეიშვილი.

ასპარეზობათა კალენდარი

წყალში ხტომა. მინსკის სპორტის სასახლეში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება „გაზაფხულის მერცხლები“, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებმა სამი პირველი ადგილი მოიპოვეს ოთხიდან. ათმეტრიან კოშკიდან ხტომებში გაიმარჯვეს ალმათელმა ალექსანდრე გენდრიკსონმა და სარატოველმა მოსწავლე ელენე გორიანამ. ტრამპლინიდან ხტომაში ვაჟთა შორის უძლიერესი იყო მსოფლიოს ჩემპიონი ფილ ბოგსი (აშშ).

ცურვა. დრეზდენში დამთავრდა სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრებთა ტრადიციული მატჩი. ანგარიშით 195:149 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ჩვენმა ქალებმა წააგეს 51:113, ხოლო ვაჟებმა მოიგეს 98:82. აღსანიშნავია, რომ 1970 წლამდე ამ ტრადიციულ მატჩში რვაჯერ გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, ხოლო უკანასკნელი ექვსი შეხვედრა მოიგეს გერმანელმა მცურავებმა. შეჯიბრების ბოლო დღეს კვლავ ისახელა თავი კონნელია ედდერმა (გდრ), რომელმაც მსოფლიოს მეორე რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით — 2.02.27. ევროპის ახალი რეკორდია საბჭოთა ვაჟების შედეგი ამანაოცურავნი 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით — 7.39,52.

ციგურაები. მედეოში სსრ კავშირისა და ნორვეგიის ტრადიციულ მატჩზე ლენინგრადელმა სტუდენტმა ევგენი კულეკო